ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 145

"15" აპრილი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება №11-ში მდებარე 60.59 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.026.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის,61-ემუხლისმე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება №11-ში მდებარე 60.59 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.026.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 13 აპრილის №22.529.565 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების:ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება №11, სართული 7, შენობა №2-ში მდებარე 60.59 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.026.02.500)პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ავთანდილ გულაშვილისთვის (პ/ნ. 01011072914) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე